სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. ნელიწადი პირველი. გრძოლაში ჰპოვეს შენს უფლებას!

შაბათი, 17 აგვისტო 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა

№ 10

ფასი 40 კაპ.

ინგლისელ ჯარებისა და ბოლშევიკების შორის მოხდა შეტაკება მდ. სევერნაია-დვინაზე. მოსულ ცნობებით ციმბირში ბოლშევიკები ძლიერდებიან.

Библиотека КМЭЛ при ЕКП (б)

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინაახლებს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома“, Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

რედაქციის მისამართი: *Тифлисъ Редакція газ. „Шрома“ Чавчавадзевская ул. Софійская школа.*

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„შრომა“-ზე

1712

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

კვირას, 18 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე

ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში (შესავალი როზანოვის ქუჩიდან პირველი კარები) დანიშნულია

სოციალისტ რევოლიუციონერთა პარტიის თბილისის ორგანიზაციის

საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. ქალაქის კომიტეტის ხელახალი არჩევნები.
2. მიმდინარე საკითხები.

ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს კრებას აუცილებლათ დაესწრონ.

თბილისის ქალაქის კომიტეტი.

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

ქ. თბილისი, 17 აგვისტო.

მდგომარეობა რუსეთში თანდათან ირკვევა. უკანასკნელი ამბები ცხადყოფენ, რომ რუსეთი გადაიქცა იმპერიალისტთა სათარეშო ასპარეზათ.

ბრესტის გარშემო და ბრესტის წინააღმდეგ—აი როგორ ჯგუფდებიან დღეს რუსეთის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები.

მემარჯვენე და რეაქციონური რუსეთი ბოლშევიკების მეთაურობით გერმანიასთან ბლოკს კრავს, და ომის განახლებას შეუდგა.

ბოლშევიზმმა საბოლოოდ ნიღაბი ჩამოიხსნა, და ციმერვალდის მემარცხენე ფრთა გერმანიის იმპერიალიზმის იდეოლოგებს რორბახსა და რევენტლოვს გვერდში ამოუდგა. მეორეს მხრით ჩვენ ვხედავთ არა ნაკლებ ჭრელსა და უცნაურ ბლოკს: ესერები, მენშევიკები, მემარცხენე კადეტები, იაპონიისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებთან ერთად ბოლშევიკების და გერმანიის წინააღმდეგ იბრძვიან.

ორივე კოალიცია დაინტერესებულია და ყოველი ლონით ცდილობს რუსეთი თუ მისი საგრძნობი ნაწილი თავის კლანჭებში ჩაიგდოს. ამ მხრივ უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება, რა თქმა უნდა, გერმანია, რომელმაც უკვე ჩაიგდო ხელში თითქმის მთელი რუსეთი. გერმანია ბოლშევიკებთან ერთად ეცდება შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა, მაგრამ სწორედ აქ ისმება დიდი კითხვა ბოლშევიკების მომავლის და იმ როლის შესახებ, რომელიც უნდა ითამაშონ მათ რუსეთის ტერიტორიაზე ომის განახლების დროს. ვიდრე რუსეთი გერმანიას ებრძოდა, ბოლშევიკებმა სამოქალაქო ომის გაღრმავებით, ფრონტის დაშლით და ანარქიის გაღვივებით დიდი სამსახური გაუწიეს გერმანიის იმპერიალიზმს. დღეს მდგომარეობა იცვლება. ოფიციალური რუსეთი გერმანიის მოკავშირეთ გამოდის. რაკი ეს ასე მოხდა ბოლშევიკებმა დადებითი მუშაობით, ფრონტის აღდგენით და სახელმწიფოებრივი შემოქმედებით უნდა შეუწყონ ხელი გერმანიის გამარჯვებას, მარა ყველა ეს შეუძლებელი იქნება ბოლშევიკებისათვის, რადგან მათ საკმაოდ გამოამჟღავნეს თავიანთი უუნარობა. პრაქტიკულ დადებით მუშაობაში ისინი სრულებით უსუსურნი და უილაჯონი გამოდგენ. თუ ამას მიუმატებთ იმ ფაქტს რომ ბოლშევიკებს მშრომელი მასა თითქმის სავსებით ჩამოსცილდა, ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ ასე თუ ისე ბოლშევიკების დღენი დათვლილია...

ამას თვით ბოლშევიკები გრძნობენ. ამიტომაც არის, რომ ისინი ტროცკის პირით აცხადებენ: ჩვენ შეიძლება წავიდეთ, მაგრამ ვიდრე წავიდოდეთ, მთელ რუსეთს საშინლად დავანგრევთ, საშინელ დღეს დავაყენებთო!..

დასავლეთ რუსეთისათვის ასეთ ამბებს ადვილი შესაძლებელია მოჰყვეს უკრაინის მაგალითის განმეორება, ან კიდევ უარესი!..

ახლა ვნახოთ, როგორია ის პერსპექტივები, რომლებსაც იძლევა აღმოსავლეთიდან მომავალი მოძრაობა ჩეხო-სლოვაკებით და იაპონიის ჯარებით სათავეში. ამ მოძრაობას შეიძლება დადებითი მნიშვნელობა ექნეს რუსეთის დემოკრატიისა და მისი იდეალებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი მოკავშირენი რუსეთის შინაურ ცხოვრებაში არ ჩაერევიან ან თუ ჩაერევიან, არ წავლენ რუსეთის დემოკრატიის პოლიტიკური და სოციალური იდეალების წინააღმდეგ. ამის გარდა ციმბირის მოძრაობას აქვს ერთი დიდი მტკივანი ადგილი. ის ივიწყებს, რომ დღევანდელ რუსეთს, მით უმეტეს რომელიმე მის ნაწილს, ომის წარმოება არ შეუძლიან. ამიტომ როგორც ბოლშევიკურ რუსეთს, აგრეთვე არა ბოლშევიკურ რუსეთს ომის წარმოება შეუძლია მხოლოდ გარეშე დაძალებით და ისიც არა როგორც დამოუკიდებელ სამხედრო ერთეულს, არამედ მხოლოდ როგორც დამხმარე და მეორე ხარისხოვან ძალას...

კერძოთ, ციმბირის მოძრაობა უსათუოდ დამარცხდება, თუ მას იაპონიამ არ გაუწია ფართო აქტიური დახმარება როგორც იარაღით, აგრეთვე ცოცხალი ძალებით...

ამასთან თუ სახეში მივიღებთ იმ შინაურ ძალებს, რომლებიც ციმბირის მოძრაობაში მონაწილეობას იღებენ, უნდა ითქვას, რომ ციმბირის მოძრაობა არის მოძრაობა უაღრესად პატრიოტული ამ სიტყვის უკეთესი მნიშვნელობით.

ეროვნული დემოკრატები და სოფელი.

სოფლისა და მის მცხოვრებთათვის ერთს უსაჭიროეს და უდიდეს საკითხს შეადგენს მიწის საკითხი. როგორც ვიცით, სხვადასხვა პარტიები სხვადასხვანაირად სწყვეტენ ამ საკითხს, მაგრამ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ იმისდა მიხედვით, თუ როგორ სწყვეტს ესა თუ ის პარტია მიწის საკითხს, შეგვიძლია გამოვარკვიოთ მშრომელი ხალხისაა ეს პარტია თუ გაბატონებულ კლასების.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ეროვნული დემოკრატების მიწის პროგრამა. რას მოითხოვენ ისინი მიწის მუშებისათვის და როგორ სწყვეტენ ისინი სოფლისათვის ამ დიდ საკითხს? ამ საკითხში მათი პროგრამის დედა აზრი არის შემდეგი: ეროვნული დემოკრატები ფიქრობენ, რომ კერძო მესაკუთრეთა კლასი საუკეთესო და საიმედო დამცველია ბურჟუაზიული ცხოვრების საფუძვლების. ეს კლასი მათი რწმენებით კონსერვატიული კლასია და ვინაიდან ეროვნულ დემოკრატებს, როგორც ბურჟუაზიის საკუთრების დამცველთ, არ სურთ **ქონებრივი უთანასწორობის მოსპობა**, ამიტომ მათი საადგილმამულო პროგრამა მიმართულია არა იქითკენ, რომ სიღარიბე და სიღატაკე მოვსპოთ, არამედ მიმართულია იქითკენ, რომ განმტკიცდეს არსებული ქონებრივი უთანასწორობა, რომ ძველებურად დარჩენ ერთის მხრით ღარიბ-ღატაკნი, ხოლო მეორეს მხრით მდიდარნი და კმაყოფილნი. თავის მიწის პროგრამით ისინი ქმნიან ისეთ პირობებს, როდესაც გაბატონებულ და შეძლებულ კლასებს თავისუფლად შეუძლიათ გაამრავლონ თავიანთი სიმდიდრე და გააძლიერონ თავისი ბატონობა. ეროვნული დემოკრატები ირწმუნებიან, რომ ისინი ეკონომიურ სფეროში ერთნაირ პირობებში აყენებენ ყველას განურჩევლად მათი სოციალური მდგომარეობისა. ისინი მოითხოვენ ეკონომიურ ცხოვრებაში სრულ **თავისუფლებას**, ესე იგი ისინი ამბობენ: ვისაც შეუძლია გამდიდრდეს, ვისაც არა გაღატაკდეს, დაღარიბდესო. ასე ესმისთ მათ ეს „სრული თავისუფლება“.

როგორც მკითხველი ხედავს, ეროვნული დემოკრატები **ახალს არსებითად არაფერს მოითხოვენ**, ისინი აკანონებენ იმ საშინელ მდგომარეობას, რომელიც დღეს არსებობს **და** რომელიც ყოველ მოქალაქეს აძლევს „სრულ თავისუფლებას“ გაღატაკდეს, ხოლო რაც შეეხება გამდიდრებას, ყველამ იცის, რომ მარტო სიტყვიერი სურვილით: „გამდიდრდითო“ ღარიბ-ღატაკს არაფერი მიემატება.

ქონებრივ ურთიერთობაში მაშინ იქნება „სრული თავისუფლება“ მსაღები და კარგი, თუ მას საფუძვლად დაედება **ქონებრივი თანასწორობა**!

ღარიბ-ღატაკს, რომელსაც კაპეიკი არა აქვს, რომ უთხრათ: ისეთივე უფლება გაქვს, შეიძინო ქონება, როგორი უფლებაც აქვს მდიდარ მილიონერსო—დაცინვა იქნებოდა. აქ საქმე იმაში კი არ არის აქვს თუ არა ღარიბს **უფლება რაიმე შეიძინოს**, არამედ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს **საშუალებას, შესაძლებლობას**. აქვს თუ არა **საშუალება და შესაძლებლობა** ღარიბ ღატაკს ბედნიერი გახდეს, შიმშილი და ტანჯვა თავიდან მოიცილოს—აი რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეროვნული დემოკრატები სწორედ უსპობენ ღარიბ-ღატაკთ ამ საშუალებას, ვინაიდან ისინი არ მიილტვიან იქითკენ, რომ სიღარიბე მოსპონ. პირიქით ისინი ებრძვიან იმათ, ვისაც მიზნად დაუსახავს სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა და ისეთი პირობების შექმნა, როდესაც მშრომელი ხალხი—ქალაქის და მიწის მუშა თავისუფალი და ბედნიერი იქნება.

სოფელელი.

საამშენებლო მუშაობა.

ცხოვრება ნგრევა-შენების პროცესია. მისი გაყინვა, შეჩერება ერთ წერტილზე შეუძლებელია. ყოველ აღებულ მომენტში ან აქვს ადგილი ნგრევის პროცესს, ან მის წინააღმდეგ მოვლენას, შემოქმედებითს. ერთ და იმავე მომენტში ორივე ხასიათის პროცესს არ აქვს ადგილი. რა არის შემოქმედებითი, საამშენებლო მუშაობა, რით განსხვავდება ის ენერგიის უბრალო ხარჯვისგან? უწინარეს ყოვლისა უნდა ავღნიშნოთ, რომ ამა თუ იმ მოვლენის დაფასება და გაგება შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც აღებული იქნება უმთავრესი გამოსასვლელი წერტილი, როდესაც მიღებული იქნება ძირითადი საზომი, რომლის მიხედვით ჩვენ მოვლენას ვაფასებთ და ვახასიათებთ.

შესაძლოა ერთ და იმავე მუშაობას საამშენებლოც უწოდოთ და ნგრევითიც იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხრიდან მიუდგებით ჩვენ მას, რა თვალსაზრისით დავაფასებთ. მაგალითად, დემოკრატიულ რესპუბლიკის აშენება მონარქიული თვალსაზრისით ნგრევითი მუშაობას. დემოკრატიული თვალსაზრისით კი შემოქმედებითი, საამშენებლო. აქედან აშკარაა, რომ ყოველივე შენება არა შემოქმედებითია, მიღებული საზომით შეიძლება სახელმწიფოს აშენებას ეწევოდე, მაგრამ შენი მუშაობა არსებითად არ იყოს შემოქმედებითი. ამ საერთო მოსაზრების შემდეგ ჩვენ კონკრეტთ დავსვამთ საკითხს: ეწევა თუ არა ჩვენი მთავრობა საამშენებლო მუშაობას. თუ ზევით აღნიშნულ საზომით ვიხელმძღვანელებთ, უნდა ვსთქვათ, რომ არა. არა იმიტომ, რომ ჩვენს რესპუბლიკას სოციალისტური მთავრობა უდგას სათავეში და მისი ყველა ნაბიჯები უაღრესათ დემოკრატიული და სოციალისტური უნდა იყოს. სოციალისტური იმ აზრით კი არა, რომ მან ეხლავე არც აკივოს და არც აცხელოს და სოციალიზმი მოგვართვას. არა იმ აზრით, რომ ყოველი მისი ნაბიჯი უზენაესი სოციალისტური მიზნიდან უნდა გამოდიოდეს და მის მოახლოებას და განხორციელებას უნდა უწყობდეს ხელს. ამას ჩვენ ვერ ვხედავთ. ჩვენ არ გვწამს დიალექტიკოსებივით, რომ ერთი და იგივე მოვლენა ერთ და იმავე დროს ერთი და იგივე თვალსაზრისით დადებითიც იყოს და უარყოფითიც. სხვადასხვა თვალსაზრისით, როგორც აღვნიშნეთ, ეს შესაძლებელია ერთი და იმავეთი კი არა. ასე რომ ჩვენი მთავრობის მუშაობა დემოკრატიის თვალსაზრისით არაა შემოქმედებითი, საამშენებლო, ბურჟუაზიულ-რეაქციონური თვალსაზრისით კი. არის ჩვენი მთავრობის მუშაობაში ზოგიერთი და დებითი დემოკრატიული ნაბიჯები, მაგრამ არსებითად კი მისი მუშაობა როგორც სოციალისტური მთავრობის, მიზან შეწონილი არაა. სოციალდემოკრატები ამბობენ: ბურჟუაზიულ სახელმწიფოს ვაშენებთო, მაგრამ რადგან დემოკრატიისათვის ბურჟუაზიის ქვაბში გადახარშვა აუცილებელია, ჩვენი მუშაობაც მიზანშეწონილი და პროგრესიულიაო. მათი ასეთი მტკიცება გამომდინარეობს მათ მსოფლმხედველობიდან. მათი დიალექტიკა ყოველივე მოვლენას ამართლებს, მონობაც პროგრესიული მოვლენა იყო მარქსიზმის აზრით, რადგან მის წიაღში დაიბადა უფრო მაღალი ფორმა ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებათა—ბატონყმობა. უკანასკნელიც დადებითი მოვლენა იყო.-მან მოგვცა შემდეგი საფეხური ამ დამოკიდებულებათა. ერთი სიტყვით, გეგელივით, მარქსისტებიც ამბობენ „ყოველივე სინამდვილე აზრიანია“. რეალური სინამდვილე ბურჟუაზიულ წყობილებას ქმნის. მაშ ეს წყობილება დადებითი, პროგრესიული მოვლენაა. რომ სოც.-დემოკრატები ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ—ამას თვით ისინი აღიარებენ. ახლა საქმე იმაშია ბურჟუაზიის საქმე არის იმავე დროს დემოკრატიის საქმე თუ არა? დიალექტიკით კი. მაგრამ უბედურებაც ისაა, რომ დიალექტიკა სხოლასტიკაა და მეტი არაფერი და სინამდვილე, რეალური ცხოვრება სულაც არ სცნობს მას. ბურჟუაზიის საქმე არ შეიძლება იყოს დემოკრატიის საქმეც, ეს აშკარაა. აშკარაა იმიტომ რომ მათი ბუნება, მათი მიზნები და ინტერესები ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და უარყოფენ ერთი მეორეს ისე როგორც ცეცხლი და წყალი. ბურჟუაზიული წყობილება გამოდის ინდივიდუალურ-ეგოისტურ მიზნებიდან, დემოკრატიულ კი კოლექტიურ.

გზა ბურჟუაზიის განმტკიცებისაკენ ინდივიდუალურ-მექანიურია, დემოკრატიის განმტკიცებისაკენ კი კოლექტიურ-ორგანიული. ასეთი ძირითადი განსხვავებაა ამ ორ ტიპის „ბურჟუაზიულ“ და „დემოკრატიულ“ მოვლენათა შორის და საღათ მოაზროვნე ადამიანი მათში საერთოს ვერ ნახავს.

თუმცა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების ხელმძღვანელებმა თვით განაცხადეს, რომ ისინი ბურჟუაზიის საქმეს აკეთებენ, მაგრამ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ ორიოდე ფაქტი იმის დასამტკიცებლათ, რომ მართლაც მათი მტკიცება სინამდვილეა. როგორც ვიცით, რუსეთის დიდმა რევოლიუციამ სხვათა შორის მოითხოვა მიწის საკითხის ძირიანათ გადაჭრა, მან დაგმო ძველი მიწათმფლობელობის ფორმები და მისი სულ ახალ, დემოკრატიულ საფუძველზე აგება დაისახა უახლოეს და უპირველეს მიზნათ. მიწის განსაზოგადოებას მოითხოვდა მთელი მშრომელი ხალხი. ეს მოთხოვნა ბურჟუაზიის შენობის კედლის მძლავრი შენგრევა იყო. ასე იყო საქმე, როდესაც რევოლიუცია ძლევამოსილათ მიმდინარეობდა. რევოლიუცია სუსტდება და მისგან წამოყენებულ ლოზუნგებსაც ფრთა ეკეცება. რევოლიუციის პირველ ხანებში ჩვენებური სოც.-დემოკრატებიც, თუ სოციალიზაციას არა, მუნიციპალიზაციას მაინც იღებდენ. დაბერა რეაქციის სუსხმა. ესდეკებმაც ფერი იცვალეს. მიწაზე კერძო საკუთრების განმტკიცებაზე იწყეს ლაპარაკი და ეხლა არ ზოგვენ ენერგიას, რომ ჩვენ მშრომელ გლეხობას როგორმე დაუმტკიცონ, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი მეტათ ხელსაყრელია მათთვის. სოც.-დემოკრატები აქამდე ამტკიცებენ, რომ გლეხის ფსიხოლოგია წვრილი მესაკუთრის ფსიხოლოგიაა, სინამდვილე მათ სულ სხვას ეუბნება. ს.-დ. სჭირდებათ დიდი შრომა, რომ გლეხებს კერძო საკუთრებათ მიყიდონ მიწები. ამგვარათ სოც.-დემოკრატები შეგნებულათ, აქტიურათ ქმნიან გლეხებში ანტი სოციალისტურ ნიადაგს. სოციალიზმი კერძო საკუთრების უარყოფაა, ამიტომ უკანასკნელის განმტკიცების ცდა პირველის წინააღმდეგ გალაშქრებაა. ამგვარათ მიწის საკითხს სოც.-დემოკრატები მემამულეების სასარგებლოთ სჭრიან, რადგან, როდესაც კერძო საკუთრება განმტკიცდება მიწაზე, წარმოიშობა და განმტკიცდება სოფლის „კულაკები“. ეს მიწის საკითხში. ეხლა სხვა ვნახოთ. რამოდენიმე დღეა ეროვნულმა საბჭომ, სადაც აბსოლიუტურ უმრავლესობას სოც.-დემოკ. შეადგენენ, მიიღო რეგულიარულ ჯარის მოწყობის შესახებ კანონი, რომელშიც დემოკრატიზმის ნასახიც კი არაა. ჯერ ერთი ჩვენ სოციალისტები რეგულიარული ჯარის მომხრე პრინციპიალურათ ვერ ვიქნებით და თუ მაინც დამაინც განსაკუთრებული პირობები მოითხოვდა მუდმივი ჯარის შექმნას ისეთ საფუძველზე მაინც მოგვეწყო ეს ჯარი, რომელიც მას ბევრათ თუ ცოტათ მაინც დაუახლოებდა სახალხო მილიციის სისტემას. ეს არ მოისურვა საბჭოს უმრავლესობამ. ჩვენ მოვითხოვეთ მოეცათ ჩვენთვის ერთი კვირის ვადა, რომ შესაფერი, დემოკრატიულ პრინციპზე აგებული კანონ-პროექტი წარგვედგინა. საბჭომ არ შეიწყნარა ჩვენი თხოვნა. ორი წელიწადი ყაზარმაში დამწყვდევა ჯარის კაცისა, როგორც ამას მიღებული კანონი მოითხოვს, მართლაც რომ უბედურებაა დემოკრატიზმის და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

ანტი-დემოკრატიულ მუშაობის სანიმუშოთ კიდევ შეგვიძლია სხვა ფაქტებიც მოვიყვანოთ, მაგრამ აღნუსხულიც კმარა. შემდეგში ჩვენ გავარკვევთ თუ რამდენათ მოკლებულია და შემცდარი ის გზა, რომელზედაც ჩვენში გაბატონებული პარტია შედგა, დემოკრატიზმის და სოციალიზმის თვალსაზრისით.

ის.

ინტერნაციონალი.

ბურჟუაზიულმა ევროპამ 1914 წელში თავის უკანასკნელი სიტყვა სთქვა. ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოები ახალ ბაზრების და თავის ეკონომიურ ბატონობის ძიებაში ერთი მეორეს შეეჯახენ. კრიზისი, რომელიც მწიფდებოდა მრავალ წლების განმავლობაში, 1914 წელში უმწვერვალეს წერტილს აღწევს და ევროპის სახელმწიფოები გატაცებულნი აგრესიულ—იმპერიალისტურ სულის კვეთებით იწყებენ ურთიერთ განმანადგურებელ ომს. მიუხედავათ ომის ასეთი, მკაფიოთ გამოხატულ მიზნებისა, იმპერიალისტური ევროპა აწერს ამ ომს მეტად სიმპატიურ მიზნებს, როგორიცაა მაგალითად, ჩაგრულ ერთა განთავისუფლების იდეია. ეს ლოზუნგი წამოისროლა ყველა მეომარ სახელმწიფოებმა. ნამდვილი მიზეზი ომის კი მიფუჩეჩებული იქმნა. ეს იყო, იმპერიალისტურ სახ. ინტერესების თვალსაზრისით მეტათ ჭკვიანური ნაბიჯი, რადგან ომის ნამდვილ მიზნების გამომჟღავნება გამოიწვევდა უკმაყოფილებას მშრომელ მასაში და ამ უკანასკნელის ჩაბმა ომში აუცილებლათ საჭირო იყო მეომარ სახელმწიფოებისათვის. მეორეს მხრივ, რომ თვალი აეხილათ პროლეტარიატისათვის, ყველა სახელმწიფოების ბურჟუაზიამ ერთხმით ასტეხა განგაში, რომ ინტერნაციონალის იდეა დამარცხდა რომ საერთაშორისო პროლეტარიატს არა აქვს არავითარი საერთო, რომ გერმანიის პროლეტარიატს ახელმძღვანელებს სულ სხვა მიზნები, საფრანგეთისას—სხვა და სხ.

და მართლაც იმპერიალისტურ ბურჟუაზიის ასეთ მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. იმპერიალისტურ ჭანგზე გალობა დაიწყეს თვით სოციალისტებმაც, რომლებიც წინათ ინტერნაციონალის იდეის საუკეთესო მატარებლები და დამცველები იყვნენ. სოციალისტები გარდა მცირეოდენ ნაწილისა, გაიტაცა ამან. იმათაც, ბურჟუაზიისამებრ, დაიწყეს მტკიცება, რომ ინტერნაციონალის იდეია დასამარდა, რომ საჭიროა გვერდში ამოვუდგეთ მთავრობებს, რომ დაცულ იქნეს ამა თუ იმ სახელმწიფოს „სასიცოცხლო“ ინტერესები. მშრომელი მასა გახდა ბრმა იარაღათ გაბატონებულ კლასის ხელში. დაიწყო საუკუნოებით შექმნილ კულტურის და მშრომელი მასის განადგურება.

იმდენად ძლიერი აღმოჩნდა იმპერიალისტური სულისკვეთება სოციალ-შოვინისტებში, რომ მათზე ვერ იმოქმედა რუსეთის რევოლიუციამაც, რომელმაც წამოაყენა დიადი ლოზუნგები ერთა თვითგამორკვევის, საერთაშორისო სოლიდარობის აღდგენის და სხვა. ამ ლოზუნგებმა თავისი პრაქტიკული განხორციელება ვერ ჰპოეს.

მაგრამ დამარცხდა თვით იდეა ინტერნაციონალისა? პირველ შეხედვით ეს თითქოს მართალია, თითქოს საერთაშორისო სოლიდარობის იდეა საუკუნოთ დასამარდა. მაგრამ საკითხის ღრმათ განხილვის შემდეგ ნათელი ხდება, რომ ეს იდეა ცხოველ მყოფელია, რომ ის არ დამარცხებულა, პირიქით მან გაიმარჯვა. ამას ამოწმებს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. დღეს ყველასათვის აშკარაა, თუ რა საშინელი შედეგები მოჰყვა ამ იდეის მივიწყებას, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ აცდენილი იქნებოდა ასეთი მდგომარეობა, იმ შემთხვევაში, თუ არ მიაფუჩეჩებდენ ამ იდეას.

ამიტომ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვსთქვათ, რომ იდეა ინტერნაციონალისა არ დამარცხებულა, პირიქით მისი ცხოველ მყოფლობა და სიდიადე დღითი დღე ძლიერდება. რა ხდება დღეს ფრონტებზე? მშრომელი მასა, რომელიც ამ ომიდან არაფერს სარგებლობს და ყველაზე მეტს აგებს, ერთი მეორეს ფიზიკურათ ანადგურებს. ნადგურდება ხალხი, კულტურა და განა ასეთ დროს არ არის აშკარა, რომ იდეა ინტერნაციონალისა ძლიერია?

და ჩვენ გვწამს რომ ევროპის მშრომელი მასა გამოერკვევა იმ ბურუსიდან, რომელშიაც ის გაჰხვია იმპერიალიზმმა, შეიგნებს ინტერნაციონალის იდეის სიდიადეს და ბოლოს და ბოლოს მას პრაქტიკულადაც განახორციელებს.

Rebus.

ზნეობრივი მომენტი რუსეთის რევოლიუციაში.

ყოველივე უფლებას თან სდევს მოვალეობა—ეს არის მარტივი და მასთან ფრიად მნიშვნელოვანი იურიდიული პრინციპი, როგორც კერძო ადამიანთა ურთიერთობაში, ისე სოციალურ განწყობილებაში, სადაც კიდევ მეტ გავლენას ახდენს იგი. თუ რევოლიუციამ თვის სოციალურ პროცესში ხალხს ანიჭებს ამა თუ იმ უფლებას, ამავე დროს იგი აკისრებს მას მოვალეობასაც. რევოლიუციამ არასოდეს არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი უფლების მოპოებით, მასთან ერთად იგი არის ძლიერი განცდა მოვალეობის შეგნებისა, რომელიც მიისწრაფვის საერთო და საბოლოო მიზნის განხორციელებისაკენ. ამიტომ ყოველივე მოთხოვნილება, რომელსაც იგი უყენებს ხალხს, დაკავშირებულია ამ საერთო მიზანთან. რამდენათაც ძლიერია ეს განცდა, იმდენათ მეტია მოქალაქობრივი შეგნება, რაც დიდათ ხელს უწყობს რევოლიუციის მსვლელობას.

თუ ხალხის კეთილ-დღეობა ყოველ დღიურ ცხოვრებაში დამოკიდებულია საზოგადოთ მის მოქალაქობრივ შეგნებასთან, რევოლიუციის დროს ზემოაღნიშნული შეგნება თითქმის სწყვეტს მის ბედს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ შეგნებას ჩვენ გვიმტკიცებს საკაცობრიო ისტორიის სხვა და სხვა დროის რევოლიუციები.

განსაკუთრებულათ ძლიერი გავლენა იქონია მან რუსეთის რევოლიუციაზე.

რამოდენიმე ასის წლის განმავლობაში რუსეთის ხალხი იმყოფებოდა ისეთ პირობებში, რომელნიც შეუძლებელს ქმნიდენ საერთოთ ხალხის მოქალაქობრივ განვითარებას. ხალხს არ შეეძლო შეეგნო თავისი უფლებანი და მასთან ერთათ თვისი საზოგადოებრივი მოვალეობანი.

მისი პსიხოლოგია იყო მონური, რის განსამტკიცებლათ დესპოტიური თვითმპყრობილობა მიმართავდა ყოველივე ზომებს, რათა მას არ შეეგნო თავისი ნამდვილი ინტერესები, არ გაღვიძებოდა გულში სურვილი მონობის ბორკილის დამსხვრევისა. ხალხის ნამდვილი მეგობრები, ვის საშუალებით მისი გათვითცნობიერება უნდა მომხდარიყო, ციხეებში და ცივ ადგილებში ლევდენ სულს.

ასეთ აუტანელ პირობებში ხდებოდა რუსეთის რევოლიუციონური აღზრდა და ცხადია, რომ საერთოთ ხალხის ფსიხოლოგიის გარდაქმნა ამ პირობებში შეუძლებელი იყო. ამ დროს მოუსწრო ხალხს რუსეთის დიდმა რევოლიუციამ.

ყველასათვის თვალსაჩინოა, რომ ხალხს რომელსაც აკლდა იდეური მომზადება, რომელსაც რამდენიმე ასი წლის მონობამ დაუხშო ყოველივე მოქალაქობრივი გრძნობა, რევოლიუციის დროს სჭირდებოდა განსაკუთრებული საღი, ნათელი, ერთგული ხელმძღვანელები მის დიად საქმეში.

განსაკუთრებული ენერგია იყო საჭირო, რომ ამ ზღვა ხალხს, რომელმაც ერთ დღეს დაამსხვრია მონობის ბორკილი, დაუყონებლივ შეედგა ფეხი თავისუფალ მოქალაქეთა ცხოვრებაში, ანარქიის ცეცხლს აშორებოდა და დადებითი სახელმწიფოებრივი მუშაობა დაეწყო ახალ ნიადაგზე.

ეს მოვალეობა კარგათ შეიგნეს იმ სოციალისტურმა პარტიებმა, რომლებსაც ისტორიამ არგუნა ბედი რევოლიუციის წინამძღოლობისა დღიდან რევოლიუციის დაწყებისა.

ამ მხრივ დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა რევოლიუციის პირველ ხანებში. დაუძინებელ დარაჯთ რევოლიუციისა, ხალხის ნამდვილ ინტერესების დამცველთ კარგათ ესმოდათ, რომ რევოლიუციის წინმსვლელობაში, მის თანდათანობითი განვითარებაში ერთნაირი ორგანიზაცია და წესი იყო საჭირო, რომ რევოლიუცია ანარქიისაგან და კონტრ-რევოლიუციისაგან გადაერჩინა.

ყველას კარგათ ახსოვს ასეთი ხელმძღვანელობის და საერთოთ პოლიტიკის ბრწყინვალე შედეგი რევოლიუციის პირველ ხანებში. სწორეთ ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის შეუდარებელი უსისხლობა, რომელიც ახასიათებდა რევოლიუციას მის დასაწყისში, და რომელსაც ყველა განცვიფრებაში მოყავდა. ასეთი ხელმძღვანელობით აიხსნება რუსეთის რევოლიუციის იმ დროის სიდიადე, სილამაზე და არა ჩვეულებრივი სულგრძელობა. სამწუხაროთ ამ ხელმძღვანელობას დიდი ხნის არსებობის დღე არ ქონია. მას დაუპირდაპირდა მოწინააღმდეგე ძალა, რომელმაც იაფფასიანი და მასთან დამღუპველი ლოზუნგებით გადაიბირა ხალხი; დემაგოგიით გაიმტკიცა თავისი მდგომარეობა შეუგნებელ ხალხში და გაბატონდა. როგორი უანგარობითაც არ უნდა ყოფილიყო შემოსილი ბოლშევიკების მოქმედება რუსეთის რევოლიუციაში, დღეს ერთი ცხადია: მათმა დემაგოგიურმა აგიტაციამ მომაკვდინებელი გავლენა იქონია ხალხზე: ისედაც შეგნებას მოკლებული ხალხის სული მოსწამლა მან და დაუხშო უკანასკნელი შეგნება თავისი მოვალეობისა, ხალხმა სრულებით დაჰკარგა პასუხის მგებლობის გრძნობა რევოლიუციისადმი, დღევანდელი ინტერესები ხვალინდელს, საბოლოოს ამჯობინა, კერძო საერთოს, დაკარგა მოთმინება და დღევანდელი ეგოისტური კეთილდღეობა ყველაფერს ანაცვალა. ასეთი პსიხოლოგია რევოლიუციას საშიშროებას უმზადებდა მაგრამ იგი მოსალოდნელი იყო შეგნებით ჩამორჩენილ ხალხისათვის, რა ხანს მას ნათელი და ფხიზელი ხელმძღვანელობა მოაკლდებოდა; და ეს აუცილებელიც მოხდა.

ბოლშევიკურმა აგიტაციამ ჯარში ფრონტზე მოიკიდა ფეხი, რევოლიუციის ბედი განსაცდელში ჩავარდა და მისი ერთგულნი დარაჯნი შიშმა მოიცვა. ამ მხრივ ძლიერ საგულისხმოა კერენსკის მიერ ფრონტის წარმომადგენლების მიმართ წარმოთქმული სიტყვა ოცდა ცხრა აპრილს წარსულ წელს. ორი თვე არ გასულიყო დიდებულ რევოლიუციის დასაწყისიდან, რომ ხალხის იმ დროის სახელოვანმა ბელადმა უკვე იგრძნო შიში რევოლიუციის ბედისადმი და თავის სიტყვაში მან დაუფარავი გულის ტკივილით გამოსთქვა იჭვი. მან სთქვა: რას წარმოადგენს დღეს რუსეთის სახელმწიფო, ამბოხებულ მონებს თუ თავისუფალ მოქალაქეთ? და თავისი შეხედულება რევოლიუციის მსვლელობაზე ასე განმარტა: არ შეიძლება ისე გაგრძელდეს საქმე, როგორც დღემდის სწარმოებდა, ამ პირობებში ქვეყნის ხსნა შეუძლებელია. უმეტესი ნაწილი დანაშაულებისა აწევს ძველ წესწყობილებას; ასი წლის მონობამ შექმნა გამცემელთა და მოღალატეთა ბრბო, ამასთან ერთათ დაუკარგა ხალხს გრძნობა პასუხის მგებლობისა, როგორც თავის ისე ქვეყნის ბედის წინაშე. ეხლა როდესაც რუსეთი, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, გაბედულათ მიისწრაფვის დამფუძნებელ კრებისაკენ, და ყოველ ჩვენგანს ეძლევა საშუალება თავისუფლათ გამოსთქვას საკუთარი აზრი, ყველა ჩვენგანი პასუხის მგებელია სახელმწიფოს წინაშე. დღევანდელ პირობებში არ არსებობს ადამიანი, ვისაც შეეძლოს სთქვას: „მე ვლაპარაკობ, მაგრამ ჩემს სიტყვისათვის პასუხს არ ვაგებ“.

მარ. ჩ—ძე.

(დასასრული იქნება)

მთავრობაში

ფინანსთა მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას, თბილისში სპირტის რეკვიზიციის მოხდენის შესახებ.

ციხეთა ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე რათა, უკანასკნელმა გააუქმოს კანონი ციხეების სტამბების რეკვიზიციის შესახებ

შინაგან საქმეთა მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას 1917 წლის 15 აგვისტოს დებულების (კავკასიის ფრონტის ლტოლვილთა დახმარების შესახებ) გაუქმებაზე.

მიწათ მოქმედების მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას ცენტრალურ სახელმწიფოთა სტატისტიკურ ბიუროს ღირსებებისა და ბიუროს მოქმედების შესახებ.

ფინანსთა მინისტრმა მოხსენება წარუდგინა მთავრობას ხილის ჩაიზე აქციზის დაწესების შესახებ. გირვანქა ხილის ჩაიზე 1 მან. 60 კაპ. გადასახადი დაწესდება. უაქციზო ჩაის კონფისკაციას უზმენ და ჩაის პატრონს ორმაგი აქციზი გადახდება.

უკანასკნელი ცნობები.

ბრძოლა კავკავში.

რუსთა ეროვნულ საბჭომ სად. კობიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „კავკავში ბრძოლაა. გზა არ არის. ფურგონები დაკავებულია კობში და ყაზბეგში. არ არის სურსათი. მდგომარეობა აუტანელია. მეეტლეები მოითხოვენ თფილისში დაბრუნებას“.

ჯავშნოსან მატარებლის № 2 უფროსი მახარაძე დეპეშით ატყობინებს ჯავშნოსან მატარებლების უფროსს გოგუაძეს: „ბოლშევიკები დაეცენ სად. ქვალონს

და გაძარცვეს მოსამსახურეები. ბრბო გავფანტეთ და წესიერება აღდგენილია, მაგრამ მათ ტყვეთ წაიყვანეს ტელეგრაფისტი გაბისონია“.

გაფიცვა.

11 აგვისტოს, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს ეკონომიურ ნიადაგზე. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას 50 პროც. სურსათის მოტანას და სხ. თუ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულ იქნა, მუშები ვალდებულათ იხდიან თავს, რომ დაამუშავებენ დღეში არა 17, არამედ 35 ათას ფუთ ნახშირს.

ბოლშევიკების დამარცხება კავკავში.

ყაზბეგიდან იუწყებიან, რომ კავკავი დაიკავეს ყაზახებმა. დამარცხებულ ბოლშევიკებმა დასტოვეს ქალაქი და ზარბაზნებს უშენენ ქალაქს. გამარჯვება. ყაზახებს რჩება. მათ ეხმარებიან ინგუშები.

გოგიშვილის დეპეშა.

ბადიაურიდან სამხედრო შტაბის წევრი გოგიშვილი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს დეპეშით ატყობინებს: „ჩვენს განკარგულებაშია 2 ათასი შეიარაღებული კაცი. დამხმარე ჯარის გამოგზავნა საჭირო არ არის. როგორც შეტევაზე გადავედით მუსულმანებთა ბრბო გაიფანტა.

ჯავშნოსანი მატარებლის უფროსის გაგუაძის შემწეობით მუსულმანების სოფლელებთან უთანხმოება არ არის. ჩვენგან წარდგენილი ულტიმატუმი მიიღეს მუსულმანთა დელეგატებმა, და დაგვპირდენ 15 აგვისტოსთვის დღის 3 საათზე წარმოადგინონ იარაღი. ვიმედოვნებთ, რომ საქმეს სისხლის დაულვრელათ მოვაგვარებთ“.

კომისარის მოქმედება.

ს. კოლაგიდან (სიღნაღის მაზრა) საოსოფლო კომისიას ატყობინებენ, რომ რაიონის კომისარმა ოგანიოვმა „ეგზეკუცია“ ჩაუყენა გლეხებს, და მთავრობის სახელით გადაახდევინა 2 ათასი მანეთი; სასტიკად მოეპყრო გლეხებს. გლეხები ითხოვენ დახმარებას.

ახალი ამბავი.

— **სტამბოლის კონფერენცია.** მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნოე რამიშვილმა გერმანიიდან ჩვენი დელეგატებისაგან ცნობა მიიღო, რომ სტამბოლის კონფერენცია გაიხსნება 10 დღის შემდეგ. საქართველოს დელეგაციამ შესძლო გერმანიიდან 50 მილიონ სესხის აღება.

— **შინაგან საქმეთა** მინისტრმა ბრძანება გასცა სახელმწიფო დაწესებულებების შტატ გარეშე დარჩენილ მოსამსახურეთა ერთდროულ დახმარების შესახებ. ბრძანება ვრცელდება იმ მოსამსახურეებზედაც, რომლებიც დათხოვნილი იყვენ სახ. დაწესებულებებიდან ლიკვიდაციის გამო ამ კანონის გამოცემამდე, მაგრამ ანგარიში კი არ მიუღიათ 1918 წლ. 5 ივლისამდე.

— **შინაგან საქ. მინისტრმა** განკარგულება მოახდინა, რომ გუბერნიის კომისრებმა წინადადება მისცენ სამაზრო ადმინისტრაციას, ყოველ თვეში მოახდინონ რაიონის წარმომადგენელთა და რაიონის კომისრების კრება, საერთო წესრიგზე სათათბიროდ.

— **დატყვევებული ბოლშევიკები.** თავარ შტაბში ყოველ დღე ჩამოყავთ ყაზბეგიდან დატუსაღებული ბოლშევიკები.

— **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო განსახილველათ ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციის შემდეგი გამოცემანი: ვლ. ემუხვარი, შენიშვნები მიწის კანონის შესახებ. ახალი საკოოპერაციო კანონი, თარგმანი და წინასიტყვაობა იასონ გაბილაიასი, პროფ. შარლ ჟიდი: სამეფო მომხმარებლისა. შარლ ჟიდი, პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები, შესავალი. ჟურნალ კოოპერაციის № 2 და 4.

— **განთავისუფლება.** 15 აგვისტოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით განთავისუფლეს ს. სირინი და ბერცალოვი.

— **თავდასხმა.** 14 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ს. ალექსანდროვიჩის ბინიდან ალიკიხის შესახვევში № 15, ბოროტმოქმედებმა მილიციის სახელით ფულათ და სხვა და სხვა ნივთები წაიღეს 40 ათას მანეთამდე.

— **თავის ჩამოხრჩობა** 14 აგვისტოს საღამოს 10 საათზე, განოვის ქუჩაზე № 4, თავი ჩამოიხრჩო ბ. როზენშტეიგერმა.

— **დატუსაღება.** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ განსაკუთრებულ რაზმმა დაატუსაღა კადეტთა პარტიის თბილისის კომიტეტის წევრი კუშკე.

— ხოლერა. უკანასკნელ დღის განმავლობაში ქალაქის საავათმყოფოში მოიყვანეს 6 ხოლერიანი ავათმყოფი, მორჩა 9. მოკვდა 2 ხოლერიანი, 14 აგვ. საავათმყოფოში იყო 91 ხოლერიანი და 16 საეჭვო.

— გაზეთის დახურვა. მთავრობის განკარგულებით დახურეს გაზეთი „ვოზროჟდენიე“. სტამბა დაბეჭდეს.

მოწერილი ამბები.

ქ. **ახალსენაკი.** მილიციის უფროსი მოქალაქე ჩიქვანაია სამსახურიდან გადაყენებულ იქნა. როგორც ამბობენ, იგი პასუხისგებაშიც არის მიცემული.

— ბოლშევიკურმა მოძრაობამ სენაკის მაზრაშიც ეპიდემიური ხასიათი მიიღო. ხელში ჩაიგდეს რამოდენიმე სოფლები. მათ წინააღმდეგ იბრძვის მთავრობიჯარი. ზარბაზნების სროლა სენაკშიც ისმოდა.

— ადგილობრივი ხაზინაში ფული სრულაც არ იშოვება. ძალიან ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან განსაკუთრებით შავი ხიდვის რკინის გზის მუშები რომელთაც ჯამაგირების მაგიერ მიიღეს ხაზინიდან წიგნაკები და ფული კი არსაიდან სჩანს.

— საერობო არჩევნების შედეგი ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ წინდაწინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენთვის არჩევნების შედეგი დამაკმაყოფილებელია. დაწვრილებით შემდეგ.

ნ. ფულუკიძის გასამართლება *)

საქმე ირჩევა თფილისის რევოლიუც. ტრიბუნალში. სხდომა დაიწყო 11 საათ. 54 წ. შემოიყვანეს ბრალდებული და მოათავსეს დამნაშავის სკამზე. საზოგადოება ბლომათ მოაწყდა სასამართლოს დარბაზს. დარბაზში განსაკუთრებული ბილეთებით უშვებდენ, მაგრამ რაკი დარბაზი არ იტევს, კარები სულ დახურეს, სასამართლო შეუდგა საქმის განხილვას.

ტრიბუნალის თავმჯდომარე ბრალდებულს: გამოგიცხადეს თქვენ, რომ სამოქალაქო მაძიებლათ დაშვებულია მოკლულის დედა და საჩივარის რაოდენობა უდრის 72000-მან?

— გამომიცხადეს.

— რა გქონდა მისჯილი ქალის გაუპატიურებისათვის?

— ციმბირში ცხოვრება.

— სად გაგასამართლეს ადამიანის მოკვლისათვის?

— ქუთაისის საოლქო სასამართლოში.

— ბოქაულის ტატიევის მოკვლის განზრახვისათვის, რომელ წელში გაგასამართლეს?

— 1892 წ,

ამის შემდეგ მდივანმა წაიკითხა სია იმ მოწამეთა, რომლებიც არ გამოცხადდენ. ბრალმდებელი: არ გამოცხადდა მოწმე პავლიევი. თუმცა მას არ დაუნახავს მკვლელობა, მაგრამ მან ინახულა ბრალდებული მკვლელობის შემდეგ და მას შეუძლია მოგვცეს საყურადღებო ცნობები მის პსიქოლოგიურ მდგომარეობის შესახებ. ამიტომ მე მოვითხოვ, რომ საქმე იქნას გადადებული.

— **სამოქალაქო ვექილი.** პავლიევი არ არის, მაგრამ სხვები არიან მოწმეები, რომელთაც ინახულეს, როგორც მკვლელობა, ისე ბრალდებული. მართალია, აღძრულია შუამდგომლობა ბრალდებულის გონებრივი მხარის გამორკვევის შესახებ, მაგრამ ეკსპერტებს ქონდათ საშუალება მოეხთინათ დაკვირვება. დასკვნა ამის შესახებ მიკერებულია 4 ფურცელში.

დამცველი. ეკსპერტებს შეეძლოთ მოეხდინათ დაკვირვება, მაგრამ მათ არ იციან საქმის გარემოება დანაშაულის ჩადენის დროს. ამასთან შეუძლებელია ერთი მოწამის სხვებით შეცვლა, თუნდ ოცით, იმიტომ რომ ამ ერთს შეუძლია ისეთი რამ გვაჩვენოს, რაც სხვებმა ვერ შენიშნეს. ამიტომ მე ვუერთდები ბრალმდებელს და გთხოვთ საქმე გადახდოთ.

ამასთან მე ვშუამდგომლობ: არ გამოცხადდა მოწმე ქვანია, მან იცის როგორ აპირებდა ბრალდებული თავის მოკვლას. ამიტომ გთხოვთ მის მაგიერ და კითხოთ სისხლის სამართლის მილიციის უფროსს, ის დაადასტურებს, რომ ბრალდებულს ღვინის სუნი ქონდა, ამასთან გთხოვთ კიდევ დაუმატოთ გიორგი ჩიჩუა და ამირაჯიბი.

სხდომა შესწყდა და სასამართლო გავიდა მოსალაპარაკებლათ.

მოლაპარაკების შემდეგ ტრიბუნალმა დაადგინა: მოწმე კვინიკაძე დაჯარიმებულ იქმნას ასი მანეთით. დაშვებულ იქმნას მოწმეები: ამირაჯიბი და ქუთათელაძე. გიმოწვეულ იქმნას ბრალმდებლის ამხანაგი მამილოვსკი, რომელმაც პირველათ დაკითხა ბრალდებულს და ექიმი იაშვილი, რომელმაც მოახთინა დაკვირვება.

საქმის გარჩევა გაგრძელდეს.

მდივანი კითხულობს საბრალმდებლო აკტს.

თავმჯდ. ბრალდებულს: თქვენ მოისმინეთ?

ნულუკიძე. მოვისმინე.

— სცნობთ თუ არა თავს დამნაშავეთ?

— იმ რედაქციით არა, როგორც მანდ სწერია. მე ეს სახლი მიჭირავს ოთხი წელი. სახლი იყო ცალიერი. მე ის შევაკეთე, გავუკეთე სამზარეულო, გავიყვანე ელექტრონი. ჩემი ოჯახობა კავკავში ცხოვრობდა და იშვიათად მიდიოდა, მაგრამ მე არავის არ ვუშვებდი შიგ, თუმცა ბევრმა მთხოვა. მე ვერ ვითმენ, როცა სხვები სცხოვრობენ ჩემს სახლში. ეს სახლი დამიჯდა მე 12000 მან. ამას გარდა გადასაკეთებლათ დავახარჯე 6000 მან. მე სამხედრო ფოდრათებს ვასრულებ.

მაისში სოფლათ წავედი. როდესაც დავბრუნდი, ცოლმა დამახვედრა ამბავი რეკვიზიციის შესახებ.

მე არ მოვითხოვდი სახლის დაცლას. მე მხოლოთ დავუძახე აბაკელიას, არაბიძეს და ვკითხე: სთქვით სინდისს ქვეშ, შეიძლება თქვენ მოთავსდეთ ამ სახლში? თქვენ ექიმი ხართ, თქვენთან ავათმყოფები ივლიან, მე საქმეები მაქვს და მთხოვნელებს ვიღებ. აბაკელია დამეთანხმა, რომ მართლაც შეუძლებელი არის იქ სამი ოჯახის მოთავსება, მაგრამ გობეჩიები წავლენ და ჩვენ გავინაწილოთო. მე გავუგზავნე ვლადიმერ გობეჩიას არაბიძე, რათა მას ეშუამდგომლა თავის დედასა და დასთან რომ ისინი წასულიყვენ.

როდესაც დაბრუნდა არაბიძე, მითხრა, რომ ვლად. გობეჩია ძალიან სწუხს, მაგრამ ამბობს: მე რა შუაში ვარ: სახლი იქირავა აბაკელიამ და დაუთმო ნაწილი ჩემს დედას და დასაო. მეორეთ გავგზავნე, თუმცა მართლაც ვლად. გობეჩია არაფერ შუაში იყო. ბოლოს არაბიძემ მომიტანა ცნობა, რომ ვლ. გობეჩიამ აღუთქვა სახლის დაცლა, მხოლოთ ითხოვდა 7-8 დღის ვადას. მე ძალიან შეწუხებული ვიყავი. 18 დღის განმავლობაში ღამით არ მეძინა, დღე ხმაურობა არ მაძინებდა. ბოლოს გადავსწყვიტე: რადგან გობეჩიები არ მიდიან, მე უნდა წავიდე მეთქი. მე შევედი სასტუმრო უნივერსალში ნუმრის საძებარათ. იქ ისხდენ სტუმრები სადილზე. მე მომაწოდეს ღვინო. მე დავუძახე სასტუმროს პატრონს, მაგრამ მის ნუმერი არ აღმოაჩნდა თავისუფალი. მე ვსთხოვე დაეთმო ერთი კუთხე, სადაც შემეძლებოდა მოსვენება. მან დამითმო თავისი ნუმერი.

მე ვსთხოვე ორ ახალგაზრდას, რომელთაც არ ვიცნობ, რომ დამხმარებოდენ ნივთების გადმოტანაში.

სადილზე ისხდა 20 კაცი. მე დამალევინეს ყველას სადღეგრძელო, მოიყვანეს ავტომობილი და წავედით. შევკრიბე ნივთები, ავავსეთ ავტომობილი და წამობრუნდა ავტომობილი. დიდია და მინადორა გვაზავა მეხვეწებოდენ ნუ მიდიხართო. მე ვუთხარი: თქვენ არ წავედითდით და მე მივდივარ ჩემი სახლიდან მეთქი. მე აღელვებული ვიყავი. ამ დროს ვიღამაც მითხრა, რომ აქ არის გობეჩიაო. მე ვიცოდი რომ ის არ იყო დამნაშავე, მაგრამ მივედი და არ მახსოვს რა ვუთხარი, ან რა მითხრა, მხოლოთ ახსოვს, რომ ვესროლე სამი ტყვია. მე დამიჭირა შვილმა.

მე წავედი კომისარიატში. სრულებითაც არ ვფიქრობდი თავდაცვაზე. გასამართლებაზე მხოლოთ მაშინ დავიწყე ფიქრი, როცა გაავრცელეს ხმა, რომ მოვკალი გობეჩია, როგორც რევოლიუციონერი.

თავმჯდ. ვისგან გაიგეთ რეკვიზიციის შესახებ?

— ცოლისგან.

— როგორ გიამბოთ ცოლმა?

— მან მიამბო, რომ როდესაც ნივთები გამოვიტანე სახლიდან, მოვიდა აბაკელია და მოიტანა რეკვიზიციის შესახებ ქაღალდიო. მე და ჩიქოვანი წავედით სარეკვიზიციო კომისიაში, მაგრამ არაფერი გამოვიდაო. როდესაც აბაკელიამ შემატყო უკმაყოფილება, მან დახია სარეკვიზიციო ბარათი და მთხოვა დამეტოვებია ორი ოთახი გობეჩიებისთვის, ამისთვის დატოვა ორასი მანეთიო. მე არ მინდოდა შენთვის დეპეშის მოცემა, რომ არ გაჯავრებულიყავიო.

თავმჯდ. მაშასადამე აბაკელია ძალით შემოჭრილა შენს სახლში?

— არა.

— ცოლი თანახმა იყო?

— იყო, რადგან ეშინოდა ლტოლვილებს მოათავსებენო.

— რომელ საათზე მოდი უნივერსალში?

— მგონი ათზე.

— ვინ მოაყვანია ავტომობილი?

— ახალგაზრდებმა.

— ეს ყველაფერი გახსოვდათ?

— დიახ.

— რომელ საათზე წადით შინ?

— სამ საათზე.

— ვის გადმოქონდა ნივთები?

— მე თვითონ.

— დანაშაულის ჩადენის შემდეგ ვის მიეცით ჩვენება?

— არ ვიცი გვარი.

— სად?

— კომისარიატში.

— ჩასწერეს ჩვენება?

— ჩასწერეს.

— ხელი მოაწერეთ?

— კი მოვაწერე.

— თქვენი მმობლები ავათმყოფობდენ ნერვიულათ?

— სულ ყველა.

— სხეულის ნაკლულოვანება ქონდათ?

— არა მაგრამ ტუბერკულიოზი ქონდათ. ორი ძმა მოკვდა ამ სენით. მამამ თავი დაიხრჩო, ძმამ ტყვიით მოიკლა თავი.

— თქვენ? მე ნევრალგიით. ექიმები მეუბნებოდენ ნერვების ავათმყოფობა გაქვსო.

— ვენერიული ავათმყოფობა თუ გამოგივლიათ?

— არა.

— სწავლა სად მიიღეთ?

— გიმნაზიაში.

— გაათავეთ?

— მეხუთე კლასიდან გამოვედი.

— რათა?

— მამა მომიკვდა.

— მერე რას მუშაობდით?

— ვეწეოდი მეურნეობას.

— მერე?

— თვრამეტი წლის შემდეგ გაუპატიურებისითვის გადამასახლეს, ადამიანის მოკვლისათვის ციხეში ჩამსვეს, ციმბირში საზოგადოებრივ მოლვაწეობას ვეწეოდი.

— ახლა რას აკეთებდით?

— სამხედრო ფოდრათებს ვასრულებ.

— როგორ მიდიოდა თქვენი საქმეები?

— კარგათ.

— როგორი იყო თქვენი ავათმყოფობის ნიშნები?

— თავის ტკივილი, უძილობა, ნერვიულობა.

— როდის დაგიწყოთ ეს ტკივილები?

— არ მახსოვს.

— იყავით დაჭრილი?

— ვიყავი. იაპონიის ომში, კიდევ 1894 წელში, კიდევ 1908 წ.

— თქვენ იცნობდით ვლ. გობეჩიას?

— ვიცნობდი. 4—5 თვის წინეთ გამაცნო რედაქციაში დიასამიძემ.

— ვინ იყო ვლადიმერთან მოკვლის დროს?

— ძმა—იოსები.

— თქვენ იცოდით, რომ ვლადიმერს დანაშაული არ მიუძღოდა სახლის რეკვიზიციის საქმეში?

— ვიცოდი.

— იოსებმა რომ მიიღო მონაწილეობა ეს ხომ იცოდით?

— კი ვიცოდი.

— მაშ რატომ ვლადიმერს ესროლეთ ტყვია და არა იოსებს. ეს შეცდომა იყო?

— არა, მე არც ერთიც და არც მეორეს მოკვლა არ მინდოდა, მე მასში დანაშაულს არ ვხედავდი. ძმის მხოლოდ შუამდგომლათ მინდოდა.

— ვლადიმერი ხელს ხომ არ გიშლიდა სახლის განთავისუფლებაში?

— არა. პირიქით ხელს მიწყობდა.

— თქვენ ხომ არ ემუქრებოდით?

— არა.

— სად მიგქონდათ წინეთ ნივთები?

— სოფლათ.

— სულ რამდენი ოთახი იყო?

— შვიდი.

— რამდენი დაგრჩათ თქვენ?

— ერთი.

— თქვენ არაფერი უთხარით გობეჩიებს სროლის წინ?

— უთუოთ ვუთხარი. შეიძლება იმათაც მითხრეს რაიმე, მარა არ მახსოვს და ცილს ხომ ვერ დავსწამებ.

— იმ თვრამეტი დღის განმავლობაში არ შეხვედრიხართ გობეჩიებს?

— ყოველ დღეს.

— თქვენ ძალიან მთვრალი იყავით?

— მე თუ დაქანცული ვარ ჩემთვის სამი ჭიქა საკმარისია.

— მითხარით, როდის შეიგნეთ დანაშაული?

— მაშინვე, როგორც ერთი გავისროლე?

ამის შემდეგ დამცველებმა წარმოადგინეს ორი საბუთი, რომლებიც ეხებოდენ მშობლების და ნათესავების ცხოვრებას და ამოწმებდენ, რომ ისინიც ავათმყოფები იყვნენ. შუამდგომლობდენ, რათა ეს საბუთები მიეკერებიათ საქმეებში.

ტრიბუნალმა დააკმაყოფილა შუამდგომლობა და დროებით სხდომა შესწყდა.

(შემდეგი იქნება)

*) ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება სრული სტენოგრაფიული ანგარიში ამ საყურადღებო პროცესისა. ჯერჯერობით კი ვათავსებთ შემოკლებულ სურათს.

ომი.

ბერლინი. 14 აგვისტო. ომის ცნობა. **დასავლეთის ფრონტი.** კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იზერისა და სკარბის შუა სწარმოებს ჩვენთვის სასარგებლო საავანპოსტო ბრძოლა. მერრისის სამხრეთით და ლისის სამხრეთ-დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. გენ. ბომეს ლაშქარი. სომმის ორივე ნაპირებზე და ავრის ჩრდილოეთით ნაწილობრივი ბრძოლებია. კანწის ორივე მხრივ ჩვენ არტილერიის ცეცხლით გავფანტეთ მტრის ჯარი.

ვენა. ომის ცნობა. **იტალიის ფრონტი.** ტონალეს მიდამოებში მტერი გუშინ გადმოვიდა შეტევაზე. შეტევა გაგრძელდა ნაშუადღევამდე. ბრძოლა ვითარდება ჩვენ სასარგებლოთ.

ალბანეთის ფრონტი. დევოლის მიდამოების აღმოსავლეთით ჩვენმა ბათალიონებმა დაიკავეს მტრის რამოდენიმე მთის პუნქტები.

სტამბოლი. 14 აგვ. ომის ცნობა. **პალესტინის ფრონტი.** ზღვის სანაპიროებზე ჩვენ გავფანტეთ მტრის მზვერავთა რაზმები.

პარიზი. 14 აგვ. ომის ცნობა. გასულ 24 საათის განმავლობაში ფრანგების ჯარმა დაიკავა რიბეკურტი.

ბერლინი. 15 აგვისტო. ომის ცნობა. **დასავლეთის ფრონტი.** კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. იზერისა და სკარპის შუა მზვერავთა გაცხოველებული მოქმედებაა. ეიეტის სამხრეთ-აღმოსავლეთით უკუვაგდეთ ინგლისელების შეტევა. გუშინ მტერმა დაიკავა ბრძოლით ჩვენი სანგრები პუასე და ბომონდ-გომელთან. გენ. ბომეს ლაშქარი. საყურადღებო საომარი მოქმედება არ ყოფილა. ანჯარისა და უაზის შუა საღამოთი საარტილერიო მოქმედება გაძლიერდა. გერმანიის კრონპრინცის ლაშქარი. მდ. ვესლის აღმოსავლეთ ნაპირზე შეტევის შემდეგ ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ სად. ბრეევილის რაზმი.

ვენა. 15 აგვ. ომის ცნობა. მტრის იერიშები ფონტალეზე მათთვის უშედეგოთ დამთავრდა.

ალბანეთის ფრონტი. დეგოლის მიდამოებში ჩვენი ჯარი წარმატებით მოქმედებს.

ᲖᲦᲕᲐᲖᲔ.

მიღებულია თბილისის რადიო სადგურით.

ბერლინი. 13 აგვისტო. ოფიციალური. 11 აგვისტოს ფრიეზენის კუნძულზე მყოფ ჩვენმა სადარაჯოებმა შეამჩნიეს ფლიელიანდის ჩრდილოეთით ინგლისელების ძლიერი საზღვაო ძალები, მრავალი კრეისერები, ბრონენოსცები, და სხ. ფლოტილიას ჰქონდა აღებული კურსი გერმანიის ნავთსადგურისაკენ. ჩვენმა აეროპლანებმა და გიდროპლინებმა ჰერიში მიიტანეს სატრაპედო გემებზე. ჩვენ გავანადგურეთ 3 ნავი და სხვები კი დავაზიანეთ გარდა ამისა დავაზიანეთ ერთი კრეისერი და ერთი სატრაპედო გემი. ამის შემდეგ მოგვეშველა ჩვენი საზღვაო ძალები და ბევრიც იძულებული შეიქნა უკან დახეულიყო.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

განხეთქილება ინგლისის მუშათა პარტიაში.

29 ივანობისთვეს შეიკრიბა ლონდონში ტრედიუნიონების წარმომადგენელთა ჯგუფი და დაადგინა მოაწყონ ახალი პარტია.

ორი თვისება უნდა ანსხვავებდეს ამ პარტიას ძველი პარტიისაგან: მისი აშკარა ნაციონალისტური სახე და მიდრეკილება რაც შეიძლება მეტათ და მკაცრათ გამოეთიშონ სოციალისტ-პაციფისტებს. ახალ ორგანიზაციას ეწოდება და უნდა იყოს არსებითად პარტია ტრედიუნიონების. განხეთქილება ინგლისის მუშათა მოძრაობაში გამოიწვია მუშათა პარტიის კონგრესის გადაწყვეტილებამ, უარყოს სამოქალაქო ზავი. გენდერსონი ცდილობდა შეემსუბუქებია კონგრესის მიერ მიღებულ რეზოლიუციის მნიშვნელობა. ის ამტკიცებდა სამოქალაქო ზავის უარის ყოფა არ მოასწავებს მუშათა პარტიის ოპოზიციაში გადასვლას გაინთავისუფლა რა თავი ყველა ვალდებულებებიდან მთავრობისადმი, პარტიამ გაიხსნა ხელები როგორც შინაური ისე გარეშე აქტიურ პოლიტიკისათვის. შესაძლოა ხელმძღვანელებს კარგათ არ ქონდეს წარმოდგენილი, თუ საით მიყავს პარტია მის ასე შინაგან განვითარებას, მაგრამ ობიექტიური აზრი იმ ევოლიუციისა, რომელსაც პარტია განიცდის, აშკარაა: მისი უმრავლესობა თანდათან თავისუფლდება ომის გიპნოზისაგან და ინსტიქტიურათ მიისწრაფის დააყენოს პარტია იმ გზას, რომელსაც ის ომამდის ადგა. უკანასკნელ ხუთ წელს ომამდის კლასობრივი თვით შეგნება მუშების სწრაფათ იზრდებოდა. ომმა გააჩერა ეს პროცესი. სოციალური გარდაქმნა, ინტერნაციონალის აღდგენა, ომის ლიკვიდაცია—ეს იდეები ნახულობენ ეხლა ენერგიულ დამცველს სამხედრო კაბინეტის ყოფილ წევრში, გედერსონში. ამ ახალი პლატფორმის მიღება მუშათა პარტიას სულ ახალ დამოკიდებულებაში აყენებს სხვა პოლიტიკურ პარტიებთან. ომმა მუშათა ბევრი ორგანიზაციები დაანაწილა, ანაწილებს ეხლაც.

„სვ. ვიზნ“

ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲐ.

ბუხარესტი, 14 აგვ. რუმინიის პარლამენტის უკანასკნელ სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრი არიონი ლაპარაკობდა კანონპროექტზე ცენტრალურ ბანკის გახსნის შესახებ, რომელსაც ექნება მიზნათ ვექსილების და უცხოეთის ვალიუტის გაცვლა გამოცვლა და სხ. მან სხვათა შორის სთქვა: „არავის არ შეუძლია ეჭვი შეიტანოს იმაში, რომ რუმინიის ეკონომიური ცხოვრება მომავალში დაეყრდნობა ურთიერთ განწყობილებას ცენტრალურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით გერმანიასთან. გერმანია იყიდის რუმინიაში პურს და გერმანიიდან ჩვენ გვექნება ფართო იმპორტი ყველა საჭირო საქონლის. ყველაფერი რაც ჩვენ გვჭირდება არ მოვა ინგლისიდან, ან ამერიკიდან. ყველა ხალხები მომავალში იცხოვრებენ ეკონომიურ ცხოვრების საღ და ხელსაყრელ პირობებში. ისინი, ვისაც სჯერათ, რომ გერმანია განდევნილი იქნება მსოფლიო ბაზრისაგან იმ კედლის მეოხებით, რომელსაც აშენებენ მოკავშირეები, დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ ეს კედელი ომის შემდეგ დაინგრევა“.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

ჩიჩერინის დეპეშა.

მოსკოვი 13 აგვ. (გადაცემული მოსკოვის რადიოსადგურით ყველას, ყველას. ყველას და ბერლინში იოფეს).

უკანასკნელ დღეებში მდგომარეობა ჩეხო-სლოვაკების ფრონტზე შეიცვალა ხაბჭოთა ჯარების სასარგებლოთ. მიუხედავათ ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის დახმარებისა ჩეხო-სლოვაკები მარცხდებიან. ჩვენი ჯარები მიიწევიან ეკატერინბურგისკენ სამი მხრით. დადგა შურისძიების ჟამი. რევოლიუციონური ჯარი შეტევას აწარმოებს ყველგან. ჩეხოსლოვაკები უკან იხევენ და ანადგურებენ გზებს. ეკატერინბურგში ისინი მოწოდებებსაც უშვებენ, რომ სტოვებენ ქალაქს. პროლეტარული ჯარი მიიწევს (გამოშვებულია) და იღებს სადგურს სადგურზე... (გამოტოვებულია). სახალხო კომისარი ტროცკი ათვალიერებს ფრონტს და პირადი მაგალითით და რევოლიუციონური ლოზუნგებით ამხნევებს პროლეტარულ ჯარს. ვოლგა მოკლე ხანში იქნება საბჭოების ძალა-უფლების ქვეშ. მუშათა და საბჭოთა ორგანიზაციები აგზავნიან საბრძოლველად საუკეთესო ამხანაგებს. რუსეთის პროლეტარიატს სურს გამარჯვება და ის გაიმარჯვებს. ჩიჩერინი. (დაჭერილია თბილისის რადიო სადგურით).

მობილიზაცია უკრაინაში.

კიევი. 14 აგვ. მობილიზაცია უკრაინაში წარმატებით მიდის.

შეტაკება ინგლისელებსა და ბოლშევიკებს შორის.

მოსკოვი, 14 აგვ. ინგლისის გემების ფლოტილიაზე, რომელიც მიეშურებოდა შუაგულ რუსეთისაკენ მდ. სევერნი-დვინით, იერიში მიიტანა ბოლშევიკების ჯარმა და უკან დაახევინა. ინგლისელების ზიანი დიდია.

ბოლშევიკები ციმბირში.

რეიტერის სააგენტოს აუწყებენ ჭლადივოსტოკიდან, რომ ბოლშევიკების ძალები ციმბირში იზრდება. ბოლშევიკები მაგრდებიან მდ. უსურის აღმოსავლეთ ნაპირზე.

მოსკოვი, 14 აგვ. ყველა პროდოკომებს, ასალი საბჭოებს. დეკრეტი პურის გამზადების შესახებ. 1. მუშების პროფესიონალურ კავშირებს, სამაზრო და საქალაქო დეპუტატთა საბჭოებს უფლება ეძლევათ მოაწყონ სასურსათო რაზმები მუშებისაგან და უღარიბეს გლეხებისაგან პურის შესაძენათ მაგარ ფასებში და რეკვიზიციისათვის. 2. ყველა ამ რაზმების სათავეში უნდა იდგნენ ამორჩეული პასუხისმგებელი ჯგუფები. რომლებიც პასუხს აგებენ საბჭოების წინაშე რაზმის მოქმედებაში.

ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ „ᲢᲠᲣᲓᲝᲕᲝᲔ ᲖᲜᲐᲛᲘᲐᲡ“.

გაზეთი „ტრუდოვოე ზნამია“ გვეკამათება, მაგრამ, სამწუხაროთ, კვლავ იმეორებს იმას რაც უკვე საკმაოდ გაშუქებული და გაბათილებულია.

გაზეთი სხვათა შორის სწერს, რომ პარტიის ქალალდს „ტრუდოვოე ზნამია“ კი არა, საოლქო კომიტეტი ყიდდაო. ჩვენც სწორედ ამას მოგახსენებდით. უკანონო საოლქო კომიტეტი ყიდდა პარტიის ქალალდს. ამას ახლა თვით „ტრუდოვოე ზნამიაც“ აღნიშნავს და ამ ნაირად ადასტურებს ჩვენს ბრალდებას.

გატაცებული პარტიული ქალალდის დიდი ნაწილი, რომელსაც ყიდდენ „შრომიდან“ ამხანაგები ისევ ჩვენ ვიყიდეთო, სწერს „ტრ. ზნ.“ ეს მტკნარი სიყალბეა! გატაცებული ქალალდი ჩვენ არავისთვის მიგვიყიდია, ვინაიდან ქალალდი არავისთვის მოგვიტაცნია!..

ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ ცენტრალური კომიტეტი ოთხთა ჯგუფმა შექმნა. ეს თქვენი ნებაა. თქვენ შეგიძლიათ, რაც გნებავთ იმეოროთ, მხოლოდ უნდა გახსოვდეთ, რომ ამ შემთხვევაში იმეორებთ ცილის წამებას!

ჩვენს შენიშვნაში ჩვენ მოუწოდეთ „ტრუდოვოე ზნამიადან“ ამხანაგებს იდეური კრიტიკისა და ბრძოლისაკენ. ახლა ისინი გვიპასუხებენ: ჩვენ მენშევიკებს შევებრძოლებით და არა თქვენო. სავსებით გასაგებია: „ტრუდოვოე ზნამიასთვის“ მენშევიკებთან ბრძოლა უფრო ადვილია, ვიდრე ჩვენთან!...

ᲙᲝᲞᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

ვინ არ იცის, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა არსებობა ჩვენში ჯერ კიდევ ნორჩ კოოპერაციას ძველი რეჟიმის დროს. ბიუროკრატიული მთავრობა მასში ხედავდა მტკიცე სახალხო ორგანიზაციას და ამისათვის მეტად ავიწროებდა მას. ერთი კოოპერატივის გახსნის ნებართვის აღება გუბერნატორისაგან რამოდენიმე თვის შრომას თხოულობდა, და თუ რომელიმე სოფელს ან ქალაქს ეღირსებოდა ნებართვა კოოპერატივის გახსნის,—პოლიციელებს ცალი თვალი ყოველთვის მისი ხელმძღვანელებისაკენ ეჭირა, რათა ისინი პირველ საჭიროებისთანავე გამოეტაცნა მშრომელი ხალხის ხელებიდან.

ქუჩაში გამვლელ ბოქაულებს შეეძლო კოოპერაციის აწიოკება და ამაზე აღარავის წინაშე არ აგებდნენ პასუხს. მაგრამ რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ბოლო მოუღო ხალხის მტრების თვითნებობას და კოოპერაციასაც მოაშორა მტარვალთა ბოროტი ხელები...

თუ რევოლიუციამდე მეფის მთავრობის უღელი მძიმე ტვირთად აწვებოდა კისერზე კოოპერაციას, აწი დემოკრატიულმა მთავრობამ მფარველობა უნდა ნაუწიოს მას და გაუკაფოს გზა აყვავებისაკენ. კოოპერაცია—ეს მშრომელთა მასის კერაა, და მთავრობამაც ზურგი უნდა გაუმაგროს მას ისევ მშრომელთა ინტერესების დაცვისათვის.

ამ საშინელი კრიზისის დროს ჩვენში კოოპერაცია განსაკუთრებულ როლს თამაშობს და სპეკულიაციის ხანაში იგი დიდს სამსახურს უწევს მშრომელ ხალხს.

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მმართველმა წრეებმა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს ჩვენი კოოპერატივები. აი რატომ. ორი თვის წინედ მიმწოდებელმა კომიტეტმა სასურსათო სამინისტროს თანხმობით ამ.-კავკასიის კოოპერატივთა კავშირს გადასცა, სხვათა შორის, ჯარის-კაცთა ტანისამოსები და ამ კავშირმა კი თავის მხრივ ეს საქონელი გაუნაწილა კოოპერატივთა რაიონულ კავშირებს. ამ აზრამდე მთავრობა მიიყვანა იმ საშინელმა ფართლეულობის კრიზისმა, რომელსაც განიცდის ინდუსტრიულ წარმოებას მოკლებული ჩვენი მხარე.

და მართლაც სოფლის მუშები ასეთ კეთილ საქმეს აღტაცებით შეხვდნენ. ნახევრად ტიტველნი სოფლელები ყოველ კოოპერატივების წინ დატრიალებდნენ და მოუთმენლად მოელოდნენ იმ დროს, როდესაც მათ საშუალება მიეცემოდათ ნახევრად ტიტველი ტანი ცოტა-რამით შეემოსათ.

სამწუხაროდ, მათ იმედი გაუცრუვდათ. საქონლის განაწილება დაწყებისათანავე კომისარ-„ნაჩალნიკების“ ბრძანებით შეჩერებულ იქნა.

არავინ იცოდა, თუ რაში იყო საქმე. ჯარის-კაცთა ხიშტები მაღაზიაში, საწყობების დაბეჭვდა და თავისი მცველების მიყენება—წყეულ ძველ დროს მოგვაგონებდა ხოლმე.

ამ ამბავმა მეტად ცუდი გავლენა მოახდინა სოფლელებზე. უბედურებაც იმაშია, რომ ხალხში გასავალი აქვს ბოლშევიკების აგიტაციას მთავრობის წინააღმდეგ მხოლოდ ასეთი უაზრო და გაუგებარი ნაბიჯების წყალობით. ახლა ხშირად ამბობენ სოფლელები: ეგ ბოლშევიკები თურმე მართალს ამბობენ, რომ მთავრობა თქვენთვის არ ზრუნავს თუ არა კოოპერატივის მიერ შეძენილ საქონელს როგორ წაგვართმევდაო“?

მართლაც რაშია საქმე? სასურსათო სამინისტრო, მიმწოდებელი კომიტეტი და კოოპერატივთა კავშირი შეთანხმდნენ ცენტრში, საქონლები პროვინციებში დაგზავნეს და ახლა კი მაზრის კომისრები საწინააღმდეგო ბრძანებას სცემენ...

სწორეთ რომ მეტად გაუგებარია!

მხოლოდ აშკარაა, რომ ამ გარემოებამ მეტად ხელი შეუწყო ხალხში მთავრობის პრესტიჟის დაცემას. საჭიროა ამას ფრიად სერიოზული ყურადღება მიაქციოს მთავრობამ და ნება დართოს კოოპერატივებს ხსენებული ტანისამოსების გაყიდვის, რომ ამით ცოტათი მაინც შევამსუბუქოთ ფართლეულობის კრიზისი.

მაშ, შივაწოდოთ გაჭირვებულ ხალხს ის, რის მიწოდება შეგვიძლია. **დაყოვნება შეუძლებელია!**—

ანდასი.

ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐ�პᲐᲡᲣᲮᲝᲗ.

როგორც ეტყობა, ჩვენ საარჩევნო ფურცელს ძლიერ გაუწიწმატებია ქუთათური ფედერალისტები.

ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო ფურცლების ბეჭდვა, რომ „ხალხის მეგობარში“ მოწინავე წერილი გამოცხვა, რომლის დასასრულ გვეკითხებიან: „რა უყავით სინიდისი, რომელიც აწითლებს ხოლმე პატიოსან პოლიტიკურ მოღვაწეს“-ო? თვით ხსენებული წერილის შინაარსი ამტკიცებს, თუ ვინ უფრო მაღლა დგას ამ მხრივ ჩვენ, თუ თქვენ.

თქვენ სწერთ ჩვენზე: თქვენი ამხანაგები არ აფეთქებენ თფილისში სახალხო ქონებასო? ეს ნამდვილი პროვოკაციაა!

თქვენ გვეუბნებით: „თქვენი ამხანაგი რუსი ჯარისკაცები არ იყვენ ჩვენში პოგრომის მომხდენი“? ამას კი ცილის წამება ქვია.

აბა მოიგონეთ იმ პოგრომების დროს ვინ უფრო მეტი დაატუსაღეს: რუსები თუ ქართველები.

ეგებ ისიც მოიგონოთ: რუსი ჯარისკაცების წასვლის შემდეგ ქუთაისში პოგრომი არ მომხდარა? და თუ კი,— ვინ იყვენ?

თვით თქვენი ბიურო ვინ დაარბიე, ვინ შეურაცხყო არ. ჯორჯაძის სურათი?

ჩვენ უფრო მეტი წარმოდგენის ვიყავით თქვენზე და არ გვეგონა, თუ ასეთი სახით იკადრებდით გამოსვლებს.

გარდა ამისა, თქვენ ვერ გაგიგიათ ჩვენს ფურცლებში თქვენს შესახებ ნათქვამი. ჩვენ არ გეკითხებოდით თუ რა გაკეთეთ. პირ-იქით, ჩვენ ბევრიც ვთქვით თქვენი და მენშევიკების „განაკეთების“ შესახებ, მაგრამ საქმე ის არის თუ როგორი ღირსების იყო ეს ნაკეთები, ვისკენ და რისკენ იყო მიმართული.

რაც შეეხება ქართველ ხალხის ოსმალეთის შემოსევისაგან დაცვას, ბრძოლის ველის მოგონებას და სხვ.

ამის შესახებ მოგახსენებთ:

თუ პარტიის გამოსვლებს საქმიანობის თვალით შევხედავთ—თამამად შეიძლება ითქვას, რომ თქვენ მეტათ ცოტა გაქვთ გაკეთებული.

რაც შეეხება მსხვერპლის რაოდენობას სამშობლოს სამსხვერპლოზე მიტანილს, ამის შესახებ თქვენ ჩვენზე არაფერი გეთქმით.

თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენი პარტიის მრავალ-წლოვანი ისტორიის ფურცლები სავსეა მსხვერპლებით, რომელთა სახელების მოგონება უძვირფასესი მოგონებაა ყოველი გულ-წრფელი რევოლიუციონერისათვის.

თქვენ გვეკითხებით ჩვენ: „სად იყავით მაშინ, როცა ძველი რეჟიმი სულს უხუთავდა მშრომელ ხალხსო“?

გიპასუხებთ. ძველი რეჟიმის დროს, როდესაც თქვენ ბანკებში და შავი ქვის საბჭოებში თფილ-თფილ ადგილებზე, კრესლოებზე წამოსკუპებულნი „მოღვაწეობდით“, აი მაშინ ჩვენი ამხანაგები ციხეებში, ციმბირში, კატორღაში იყვენ და ყოველგვარ ადამიანურ პირობებს მოკლებულნი, ათასგვარ გაჭირვებაში მყოფნი თავ-გამოდებით ემსახურებოდენ მშრომელ ხალხის განთავისუფლების საქმეს.

აი, სად ვიყავით ჩვენ.

ვანო.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ.

ბაქოს დროებით აღმასურლებელ კომიტეტის პრეზიდიუმისა.

ამხანაგებო და მოქალაქენო!

მეტად კრიტიკულ დროს, როდესაც მტერი მოადგა ბაქოს, ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო გადადგა. გაჟღენთილმა ვიწრო პარტიული პოლიტიკით მან თავისი ხანმოკლე არსებობის დროს მიგვიყვანა იქამდის, რომ არც საგარეო და არც საშინაო ფრონტზე ვერ შექმნა ისეთი მორალური და მატერიალური პირობები, რომლებიც შეძლებას მისცემდენ ბაქოს პროლეტარიატს და წითელ არმიას შეენახათ ბაქო რევოლიუციონურ რუსეთისათვის. ბაქოს პროლეტარიატმა, ჯარმა და ფლოტმა უკანასკნელ არა ჩვეულებრივ კრებაზე 26 ივლისს არ მოიწონეს სახალხო საბჭოთა პოლიტიკა. კრიტიკულ წამში სამი პარტია. სოც.-რევოლიუციონერები, სოც.-დემოკრატი. მენშევიკები და დაშნაკცაკანები, დარჩენ თავიანთ პოსტზე და იცავენ თვის პოზიციებს უკანასკნელ შესაძლებლობამდი. უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკულ წამს სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტში ბევრი საპასუხისმგებლო ადგილები იქნა მიტოვებული.

ასეთ უბედურების დროს მთავრობის არ ყოფნა კიდევ უფრო აძლიერებს შიშს მცხოვრებლებში. კასპიის ფლოტი არ დაიბნა. მან გამოაცხადა თვისი თავი უმაღლეს სამხედრო მთავრობათ და აიღო და ქალაქის დაცვა თავის ხელში. პროლეტარიატის უმაღლესმა ორგანომ თავის რევოლიუციონურ მოვალეობათ ჩათვალა მუშაობის განგრძობა, ბაქოს საბჭო მხოლოთ სრულ უფლებიანია იკისროს პასუხის მგებლობა ბაქოს ბედისათვის მთელი რევოლიუციონურ რუსეთის წინაშე. აღმასრულ. კომიტეტის პრეზიდიუმი ყოველ ღონეს იღონებს, რომ არ იქნას დაცემული საბჭოს ავტორიტეტი. თავის მოვალეობათ თვლის პრეზიდიუმი ყოველ მხრივ გაამაგროს ფრონტი. ამ მოვალეობას ჩვენ ავასრულებთ, თუ ამხანაგი მუშები და ბაქოს მცხოვრებლები, აქტიურათ და შეგნებულათ დახმარებას გაგვიწევენ. მეორე, რაც სასწრაფოთ უნდა გაკეთდეს, ეს სასურსათო კრიზისის შემსუბუქებაა, რისთვისაც ზომებია.-მიღებული.

როდესაც საბჭოს მთავრობა გადადგა და მტერი ქალაქს მოუახლოვდა ფინანსიური აპარატი მთავრობის მეტად შეირყა, ბევრი მოსამსახურენი საბჭოთა დაწესებულებების—გაიქცენ.

პრეზიდიუმს დიდი მოვალეობა აწევს. მან უნდა მოაწესრიგოს ცხოვრება, უნდა გამოარკვიოს რამდენია კასაში ფული, რომ მუშებს ხვედრი ფული მისცეს. ჩვენ გვწამს, რომ ბაქოს პროლეტარიატი შეიგნებს მომენტის სიმწვავეს და აგრეთვე იმას თუ რა პირობებში ავიღეთ ჩვენ ძალა უფლება. ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ასეთ მძიმე საპასუხის მგებლობის დროს ამხანაგი ჯარისკაცები აქტიურათ დაგვეხმარებიან როგორც გარეშე მტერთან ბრძოლაში, ისე მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაში. პრეზიდიუმი კასპის სამხედრო ფლოტის დიქტატურასთან ერთად არის უმაღლესი მთავრობა, ქალაქში სხვა მთავრობა აღარ არის და მას უნდა დაემორჩილოს ქალაქში ყველა დაწესებულებები.

მოუწოდებთ საბჭოს ყველა დაწესებულებებს დარჩენ თავიანთ პოსტზე და განაგრძონ მუშაობა.

ეხლა ყველა უნდა იყოს თავის პოსტზე. ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგ მუშებს და მოქალაქეთ შექმნან რაზმები გარეშე მტერთან საბრძოლველათ და შიგნით წესრიგის დასამყარებლათ, რომ შეუნახოთ რევოლიუციონურ რუსეთს ბაქო.

ყველა ამხანაგები და მოქალაქენი საბჭოს მუშაობისაკენ!

ყველა ფრონტისაკენ!

ყველა ფრონტისათვის!

ამაშია ეხლა რევოლიუციის ხსნა!

პრეზიდიუმი დროებით აღმასრულებელ კომიტეტისა:

თამჯდომარე ალ. არაკელიანცი,

წევრები: აბრამ ველუნცი, ლ. მანსკი, მელიქ იოლჩინცი, აიოლლი.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.